

თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის თავდაცვითი სისტემების
ლანდშაფტურ-არქიტექტურული ანალიზი
(გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე)

გიორგი ხაბურზანია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი, პროფესორ-ემერიტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს, ბატონ გიორგი გვალის,
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის, გიორგი ხაბურზანიას

განცხადება

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ხაბურზანია
2019 წელი

მადლობა

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსს, ბატონ გურამ ყიფიანს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალის ნაწილი მოძიებული არის ავტორის მიერ ქართულ-ავსტრალიურ საერთაშორისო კვლევების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ამ კვლევების განხორციელების შესაძლებლობისათვის დიდ მადლობას ვუხდით პროექტის თანახელმძღვანელს ავსტრალიის, მელბურნის უნივერსიტეტის დოქტორანტს აბბი რობინსონს.

დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს და ამავე სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის უფროსს, ქალბატონ ლეილა თუმანიშვილს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის გამოყენების უფლების მოცემისთვის.

აბსტრაქტი

სამხრეთ საქართველოს, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი უძველესი დროიდანვე მთავარ გზაგასაყარს და მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, როგორც ადგილობრივი ფეოდალებისთვის ასევე საქართველოს მეფეებისთვის მნიშვნელოვანი იყო ამ მხარის დაცვა, უსაფრთხოება და შენარჩუნება. ამაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქის, საფორტიფიკაციო, სათავდაცვო ნაგებობების სიმრავლე და ამასთანავე წერილობითი წყაროები, რომლებიც აღვნიშნავენ ბრძოლებს, საზავო მოლაპარაკებებს, ციხესიმაგრეების აღდგენებს და გამტკიცებებს. მრავალფეროვან ლანდშაფტთან, გარემოსთან მორგებული რთული არქიტექტურული კომპლექსები მტრისთვის ძნელად მიღწევად სიმაგრეებს ქმნიდნენ.

თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები შუასაუკუნეების მნიშვნელოვან, სტრატეგიულ ობიექტებს წარმოადგენდნენ. ამაზე მიგვანიშნებს, როგორც ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები, ასევე მათი სტრატეგიული ადგილმდებარეობა, გარემოსთან მიმართება და დღემდე შემორჩენილი სათავდაცვო ნაგებობების მასშტაბურობა. სხვა ნამოსახლარებთან, ციხეებთან და კოშკებთან, გამოქვაბულ კომპლექსებთან, მიწისქვეშა სამალავებთან (დარნებთან) ერთად ისინი წარმოადგენდნენ ერთიანი სათავდაცვო სისტემის ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულად თითოეული მათგანი მეტნაკლები დეტალიზაციით არის აღწერილ-დოკუმენტირებული, მაგრამ მათი ურთიერთმიმართება, კავშირი აქამდე არ ყოფილა სათანადოდ წარმოჩენილი.

ნაშრომის მიზანი არის თანამედროვე გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეშვეობით რუკის და მონაცემთა კატალოგის სახით თავი მოუყაროს, დააჯგუფოს (პერიოდების, ტიპების, ფუნქციების და სხვა პარამეტრების მიხედვით) და გაანალიზოს ამ სამი კომპლექსური ობიექტის გარემოსთან მიმართების საკითხი. გამოყოს ის ნამოსახლარები თუ სხვა ტიპის ნაგებობები, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკავშირებული ყოფილიყო მათთან. ამის შემდეგ განსაზღვროს თითოეული კომპლექსის როლი, დაადგინოს მათი ურთიერთმიმართება,

გამოთვალოს ციხესიმაგრეების ვიზუალური ხედვის არეალი, გამოავლინოს ვიზუალურად კონტროლირებადი თუ არაკონტროლირებადი არეალები და საბოლოოდ მოახდინოს მათი სამოქმედო, როგორც სათავდაცვო სისტემის რეკონსტრუქცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ციხესიმაგრე, კოშკი, გზა, გეოინფორმაციული სისტემა და რუკა, ვიზუალური ხედვის არეალის ანალიზი, მანძილები და კავშირები სათავდაცვო სისტემებთან.

Abstract

South of Georgia, especially Samtskhe-Javakheti region had been main crossroad and the center for important military, political influences. Therefore throughout the history its protection and maintenance had been one of the main goals for local governors as well as for Georgia's kings. All the remained cultural heritage assets with all the recorded stories in chronicles about fights, wars, negotiations, stories about fortified sites' building and restorations are proof of its importance. Disguised fortified sites in the landscape, environment were strongholds against enemy's troops.

Fortresses of Khertvisi, Tmogvi and Akhalkalaki had an important and strategic role in medieval period. Stories recorded in the chronicles, also their strategic locations, correspondence with the environment and the scale of remained fortified elements are proof of their importance. Along with other settlements, fortresses, towers, caves, underground shelters they are part of unified defense system. Despite of various types of researches and inventories done on each of them, their interaction, connection has not been analyzed well yet.

The goal for this thesis is to use modern geographic information systems to create a map and data catalogue for all the main cultural heritage sites in the area, group them (according to period, typology, function and other parameters) and analyze the context of these three fortresses in the environment. Outline on the map those settlements or other complexes, buildings which might have been in connection with them. After that define the role for each of them, special interaction between them, mark visually controlled areas from each one and outline the areas which were under their observation and areas beyond it for to reconstruct defense system.

Key words: fortress, tower, geographic information systems, map, road, visually controlled areas, distances and connections between fortified systems.